განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ჯაწელიძე
წევრი: წია გუგუნავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ბათუმი, 2019}

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: 245428158
სახე:

- [x] √ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული კოლეჯი
- [ ] საზოგადოებრივი კოლეჯი

II. მონიტორინგის სახე:

- [ ] გეგმიური
- [x] არაგეგმიური

III. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს N 10 სხდომის ოქმის თანახმად, პროფესიულ საგანმანალებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული ხარვეზების აღმოფხვრისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შემოწმების მიზნით განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 14 თებერვლის #129 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ქეთევან ჯანელიძე -პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი (თავჯდომარე)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბუბუნაია

{ბათუმი, 2019}

ბ) ნია გუგუნავა - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი(წევრი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეადგინა დღის წესრიგი, რომელიც შეთანხმებულ იქნა ცენტრთან. სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 21, 22 თებერვალს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ (ადაპტირებულ გარემოსთან დაკავშირებული ხარვეზის გამოსწორებასთან მიმართებაში) ვიზუალურად დათვალიერებულ იქნა სამივე მისამართზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის განკუთვნილი ფართი (ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის №32/35(საკად.კოდი.05.23.03.004) ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12 (საკად.კოდი05.24.05.189) ქ. ბათუმი, გრიშაშვილის ქ. №5 (საკად.კოდი05.30.26.027)), შემოწმებულ იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს N 10 სხდომის ოქმის თანახმად, პროფესიულ საგანმანალებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახულ ხარვეზებთან და რეკომენდაციებთან მიმართებაში შესაბამისი დოკუმენტები, ხარვეზების გამოსწორებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შემოწმების ჭრილში.

მონიტორინგის ვიზიტისას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის ნია გუგუნავას მიერ დადგინდა, რომ არსებული ხარვეზების და რეკომენდაციების გამოსწორებით არ დარღვეულა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობა.

ვიზიტის მიმდინარეობისას შედგა შეხვედრა უნივერსიტეტის რექტორთან, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. ვიზიტის ბოლო დღეს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გააკეთეს ჩატარებული სამუშაოს ანალიზი და დაიწყეს მუშაობა დასკვნის პროექტზე.

ვიზიტი განხორციელდა დღის წესრიგის შესაბამისად და ცვლილებების განხორციელების საჭიროება არ დამდგარა. ვიზიტი განხორციელდა კეთილგანწყობილ, მშვიდ და საქმიან გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ბათუმი, 2019}

დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება				
1. **საგანმანათლებლო პროგრამები**				**2.**
#	**დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზი/ხარვეზები**	**მონიტორინგის დროს ფაქტობრივი მდგომარეობის აღწერა**	**დასტურდება**	**სტატუსი**
1.1.	საგანმანათლებლო პროგრამის **„პრაქტიკოსი ექთანი“** სასწავლო გეგმაში დაცული არ არის მოდულზე დაშვების წინაპირობა. კერძოდ, მოდული რეაბილიტაცია საექთნო საქმეში - იწყება 44-ე კვირას და მთავრდება 48-ე კვირას, ამ მოდულის წინაპირობაა მოდული კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა - იწყება 55-ე კვირას და მთავრდება 64-ე კვირას.	საგანმანათლებლო პროგრამის **„პრაქტიკოსი ექთანი“** სასწავლო გეგმაში მოდული **„რეაბილიტაცია საექთნო საქმეში“** - იწყება მე-60 კვირას და მთავრდება 64-ე კვირას, ამ მოდულის წინაპირობაა მოდული- **„კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა“** - იწყება 44-ე კვირას და მთავრდება 58-ე კვირას.	დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #72 , პუნქტი 1.1. (20 ივლისი2018)	ხარვეზი გამოსწორებულია
	საგანმანათლებლო პროგრამის **„ფარმაცევტის თანაშემწე“** სასწავლო გეგმაში დაცული არ არის მოდულზე დაშვების წინაპირობა, კერძოდ: • **მოდული „სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება“** - იწყება მე-11 კვირას და მთავრდება 34-ე კვირას, ამ მოდულის წინაპირობაა მოდული **„სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა“** - იწყება 1-კვირას და მთავრდება 25-ე კვირას (პარალელურად მიმდინარეობს); • მოდული **„მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება“** - შეფუთვა, მარკირება - იწყება მე -6 კვირას და მთავრდება მე - 20 კვირას, ამ მოდულის წინაპირობაა მოდული **„სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა** - იწყება 1-კვირას და მთავრდება 25-ე კვირას (თითქმის პარალელურად მიმდინარეობს).	საგანმანათლებლო პროგრამის **„ფარმაცევტის თანაშემწე“** სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულზე დაშვების წინაპირობა, კერძოდ: • **მოდული „სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება“** - იწყება მე-18 კვირას და მთავრდება 29-ე კვირას, ამ მოდულის წინაპირობაა მოდული **„სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა“** - იწყება 1-კვირას და მთავრდება მე-10 კვირას; • მოდული **„მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“** - იწყება მე -12 კვირას და მთავრდება მე - 17 კვირას, ამ მოდულის წინაპირობაა მოდული **„სანიტარულ-ჰიგიენური**	დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #72 , პუნქტი 1.2. (20 ივლისი2018)	ხარვეზი გამოსწორებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბუბუნაია

{ბათუმი, 2019}

		წორმების დაცვა“ - იწყება 1-კვირას და მთავრდება მე-10 კვირას.		
	საგანმანათლებლო პროგრამაში **“მშენებლობის მწარმოებელი“,** შეცდომით არის მითითებული დაშვების წინაპირობა. კერძოდ, პროგრამაში მითითებულია, რომ: „სასწავლებლად დაიშვება პირი, რომელსაც დასრულებული აქვს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხური პროგრამაზე დაშვების მინიმალური პირობაა ზოგადი სრული განათლება ან მშენებლობის მიმართულების რომელიმე პროფესიული სპეციალიზაციის II საფეხურის კვალიფიკაცია”. მშენებლობის მწარმოებლის (040651) პროფესიული სტანდარტი კი მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ითხოვს სრულ ზოგად განათლებას.	საგანმანათლებლო პროგრამაში **“მშენებლობის მწარმოებელი“,** დაშვების წინაპირობის ნაწილში განხორციელდა ცვლილება. ამჟამად პროგრამის წინაპირობად მითითებულია, სრული ზოგადი განათლება.	დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #72 , პუნქტი 1.6. (20 ივლისი2018)	ხარვეზი გამოსწორებულია
2. მატერიალური რესურსი				
2.7.	დაწესებულება სრულად არ არის ადაპტირებული შშმ პირებისათვის.	ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის განხორციელებისას შეამოწმა რამდენად იქნა გამოსწორებული ადაპტირებულ გარემოსთან დაკავშირებული ხარვეზი. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ უნივერსიტეტის მე-2 კორპუსში დამონტაჟებული და ექსპლუატაციაში შესულია პანორამული ლიფტი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სართულზე შეღწევას. იმ სივრცეში, სადაც ვერ ხერხდება ლიფტით ასვლა კიბეებზე დამონტაჟებულია მოძრავი	ვიზუალური დათვალიერება	ხარვეზი გამოსწორებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბუბუნაია

{ბათუმი, 2019}

		პანდუსი. სასწავლო ფართებში: ბათუმი, გრიშაშვილის ქ. №5ა მდებარე შენობაში არის ადაპტირებული პანდუსი, მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი, მისვლა პრაქტიკული მეცადინეობისათვის მოწყობილ გარემოსთან(ეზოში განთავსებულ სკებთან) უზრუნველყოფილია ბეტონის პანდუსით. ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12 მდებარე შენობის უკანა მხრიდან ფუნქციონირებს პანდუსი, შენობაში შიგნით დამონტაჟებულია მოსახსნელი ხის პანდუსი, ხოლო, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილს წარმოადგენს 104-ე აუდიტორია, რომელიც ასევე განთავსებულია პირველ სართულზე.		
3. ადამიანური რესურსი				
3.3.	შრომით ხელშეკრულებებში მითითებულ სტატუსებში, რომელიც დასაქმებულმა უნდა მონიშნოს, არ არის მითიებული პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსი. არ არის განსაზღვრული სამუშაო ადგილი, რაც საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული არსებითი პირობაა. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირებთან	შრომით ხელშეკრულებებში მითითებულ სტატუსებში, მითიებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსი. განსაზღვრულია სამუშაო ადგილი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, დაზუსტებულია თუ რომელ მოდულს ახორციელებს პირი.	შრომითი ხელშეკრულებებით	ხარვეზი გამოსწორებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ბათუმი, 2019}

	დადებული შრომითი ხელშეკრულებების დიდ წაწილში არ არის დაზუსტებული თუ რომელ მოდულს ახორციელებს პირი. არის ხელშეკრულებები, რომლებშიც საერთოდ არ არის დადგენილი მოქმედების ვადა (არ არის მითითებული არც მოქმედების ვადა, არც ის, რომ ხელშეკრულება უვადოა) ხელშეკრულებების დიდ წაწილში, ასევე არ არის დაფიქსირებული დასაქმებულის სტატუსი (პოზიცია), არის რამდენიმე ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადაც ვიზიტის პერიოდში უკვე ამოწურული იყო.			
რეკომენდაციები				
ზოგადი				
1	დაწესებულებამ ცენტრთან ან ზოგადად სხვა უწყებებთან კომუნიკაციისას განახორციელოს დოკუმენტების სისტემატიზაცია საქმისწარმოების დადგენილი წესის შესაბამისად. დანართები დანომროს და დაასათაუროს, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს მისცემს დოკუმენტაციაში სწორი ორიენტირების შესაძლებლობას;	დაწესებულებამ პროფესიული განათლების უკეთ უზრუნველყოფისათვის შექმნა პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი, რის გამოც გადამუშავდა და შეიქმნა ახალი მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც იძლევა დოკუმენტაციაში სწორი ორიენტირების შესაძლებლობას.	სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება დამხმარე სტრუქტურული ერთეულის „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე #02 , (05ოქტომბერი 2018)	შესრულებული
2.	რეკომენდებულია დაწესებულებამ გამიჯნოს პროფესიული და აკადემური	უნივერსიტეტში შეიქმნა პროფესიული პროგრამების	სსიპ ბათუმის შოთა	შესრულებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბუბუნაია

{ბათუმი, 2019}

	პროგრამების განხორციელების რეგულაციები და მათი აღსრულების პროცედურები;	მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი, შეიქმნა ახალი რეგულაციები, რითაც უმეტესწილად გაიმიჯნა პროფესიული და აკადემური პროგრამების განხორციელების რეგულაციები და მათი აღსრულების პროცედურები.	რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება დამხმარე სტრუქტურული ერთეულის „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე #02 , (05ოქტომბერი 2018)	
3.	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ერთგვაროვანი მიდგომების დანერგვის და განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია დაწესებულებამ პროფესიული სწავლების ადმინისტრირებისათვის შექმნას სათანადო მანდატით აღჭურვილი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული (ამ მიზნისათვის არსებული სტრუქტურული ერთეულის/პირის უფლებამოსილების სფერო საკმაოდ შეზღუდულია და ადმინისტრირების ფუნქციები ფაკულტეტებზეა გადანაწილებული);	როგორც ავღნიშნეთ, უნივერსიტეტში შეიქმნა პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი, რომელსაც ჰყავს დირექტორი და თავისი დამოუკიდებელი სტრუქტურა	სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება დამხმარე სტრუქტურული ერთეულის „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე #02 ,	შესრულებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბუბუნაია

{ბათუმი, 2019}

			(05ოქტომბერი 2018)	
4.	რადგანაც დაწესებულების ერთ-ერთი პრიორიტეტია პროფესიული განათლება, რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშავოს პროფესიული განათლების ქვესტრატეგია, როგორც ერთიანი სტრატეგიის ნაწილი, ან პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები ცალკე სტრატეგიულ მიზნად განიხილოს, რაც მას მისცემს საშუალებას უკეთ მოახდინოს კონცენტრირება პროფესიულ განათლებაში მიმდინარე დინამიურ პროცესებზე;	პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს შემუშავებული აქვს პროფესიული განათლების მიმართულებით საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმა და პროფესიული განათლების მიმართულებით საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების ერთწლიანი გეგმა	დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #06-01/15 , (14თებერვალი2019)	შესრულებული
5.	პროფესიული განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით რეკომენდებულია დაწესებულებამ გადახედოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და დამტკიცების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების და დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და სხვა პროცესების აღსრულების მექანიზმებს და გახადოს უფრო მოქნილი;	მიუხედავად იმისა, რომ შეიქმნა პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი, რომელსაც ჰყავს დირექტორი და თავისი დამოუკიდებელი სტრუქტურა,რომელსაც შემუშავებული აქვს რეგულაციები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და დამტკიცების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების და დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის შესახებ, იგი გარკვეულწილად მაინც დამოკიდებულია აკადემიურ საბჭოზე, რასთან დაკავშირებით დირექტორმა		შესრულებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ბათუმი, 2019}

		განგვიცხადა, რომ ახალ შენობაში (რომელიც ამჟამად მშენებლობის პროცესშია) გადასვისას კიდევ მოხდება მარეგულირებეილ დოკუმენტების გადახედვა და უფრო მეტი დამოუკიდებლობა ექნება ამ ახალ სტრუქტურულ ერთეულს.		
6.	სასურველია დაზუსტდეს ჩანაწერი უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციაში. კერძოდ, მუხლი 12, პუნქტი 2, ბ) (პროფესიული სტუდენტის საქმისწარმოების მასალები)სადაც მითითებულია, რომ სწავლის შედეგების დადასტურების უწყისი შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივ დეპარტამენტში სტუდენტისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებიდან უნდა ინახებოდეს 1 წლის განმავლობაში. რეგულაცია არ არის თანხვედრაში საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტს დამტკიცებული №72 ბრძანების (დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით) დამტკიცების შესახებ) შესაბამისად პუნქტი 387-ის თანახმად . დოკუმენტები გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების შესახებ ,ანგარიშები გამოცდების ჩატარების შესახებ, შეფასებათა უწყისები უნდა ინახებოდეს 25 წლის ვადით.	რექტორის ბრძანების # 01-02/01 „ბსუ-ს საქმეთა ნაერთი ნომენკლატურის დამტკიცების შესახებ“ თანახმად სწავლის შედეგების დადასტურების უწყისის შენახვის ვადა განისაზღვრა 25 წლით .	რექტორის ბრძანებით # 01-02/01 (9 იანვარი 2019 ბათუმი)	შესრულებული
7.	სასურველია განხორციელდეს ცვლილებები ბსუ-ს წესდებაში, კერძოდ, თავი IV „უნივერსიტეტის მართვის პრინციპები და ორგანოები“,სადაც გაცხადებულია, რომ უნივერსიტეტი მართვის პროცესში უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების	ბსუ-ს წესდებაში ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები, კეძოდ დაწესებულებამ წარმოგვიდგინა მიმოწერა საქართველოს განათლების,	ბრძანება “ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი	შესრულებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ბათუმი, 2019}

	ხელმისაწვდომობასა და ღიაობას, მოხსენიებულ იქნას პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობაც . შესაბამისად, უნდა დაკორექტირდეს მუხლი 66. „სტუდენტის სტატუსი და უფლებები“ (14.03.2011 N 39/ნ) ნახმად „უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსს პირი მოიპოვებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით“, აქაც გათვალისწინებულ იქნას პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი.	მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან. ხოლო პროფესოული სტუდენტის სტატუსის მოპოვება და უფლებები განსაზღვულია დოკუმენტით“ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.	წესის დამტკიცების შესახებ 01-02/11 08 თებერვალი 2019	
8.	დაწესებულებაში პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს ფაკულტეტის საბჭო. დაწესებულების წესდებაში ფაკულტეტის საბჭოებს ეს უფლება განსაზღვული არა აქვთ. შესაბამისად კვალიფიკაციის მინიჭება ხდება არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ. შესაბამისად, რეკომენდებულია დაწესებულებამ განსაზღვროს პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებაზე სხვა უფლებამოსილი პირი ან ცვლილებების შესახებ ინიციატივით მიმართოს წესდების დამტკიცებაზე პასუხისმგებელ სამინისტროს.	კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურა განსაზღვულია დოკუმენტით“ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, მუხლი 15, კვალიფიკაციის მინიჭება და პროფესიული დიპლომის გაცემა. აღნიშნული მუხლის თანახმად, კვალიფკიკაციის კომისია შეისწავლის სტუდენტის პირად საქმეს და იღებს გადაწყვეტილებას კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ. საკვალიფიკაციო კომისიის ოქმის საფუძველზე იწერება ბრძანება, რომელსაც ხელს აწერს რექტორი.	ბრძანება “ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ 01-02/11 08 თებერვალი 2019	შესრულებული
საგანმანათლებლო პროგრამები				
9.	გასწორდეს დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტებში, პროგრამებში, ხელშეკრულებებში ტექნიკური და ენობრივი ხასიათის შეცდომები;	დოკუმენტაცია შეცვლილია და კვლავაც მიმდინარეობს დოკუმენტებზე მუშაობა.		შესრულებული
10.	ერთი და იმავე მოდულისთვის რამდენიმე განმახორციელებელი პირის	პროფესიული მასწავლებლების ხელშეკრულებების დანართში,	ხელმოწერილი ხელშეკრულებები	შესრულებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ბათუმი, 2019}

	არსებობის შემთხვევაში პროფესიული მასწავლებლების შესახებ ინფორმაციის გრაფაში დაზუსტდეს რომელი პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულის რა კომპონენტს ახორციელებს;	რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, დაკონკრეტებულია ხელშეკრულების საგანი.		
11.	დეტალურად გაიწეროს სასწავლო პროგრამების შემუშავების და დამტკიცების, ცვლილებების განხორციელების პროცედურები;	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და დამტკიცების, ცვლილებების განხორციელების პროცედურები გაწერილია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებაში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და განვითრების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“	აკადემიური საბჭოს დადგენილება # 06-01/07 6 თებერვალი 2019	შესრულებული
12.	გაიწეროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების/ცვლილებების განხორცილების პროცედურები;	ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების/ცვლილებების განხორცილების პროცედურები გაწერილია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულ „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და განვითრების უზრუნველყოფის წესში“.	აკადემიური საბჭოს დადგენილება # 06-01/07 6 თებერვალი 2019	შესრულებული
13.	დამტკიცებული პროგრამების თავფურცელზე განთავსდეს ფაკულტეტის სახელწოდება ბსუ-ს დადგენილი წესის შესაბამისად;	ცვლილება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელდა ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით პუნქტი 1.2. „ გ.“	აკადემიური საბჭოს დადგენილება # 06-01/07 6 თებერვალი 2019	შესრულებული
14.	პროგრამების აღწერილობის ნაწილში, ბსუ-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ამოღებულ იქნას	ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო	აკადემიური საბჭოს დადგენილება # 06-01/07 6	შესრულებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ბათუმი, 2019}

	გ) პუნქტი- „პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით“, ან დამტკიცებული პროგრამების თავფურცელი მოვიდეს შესაბამისობაში ამ ჩანაწერთან; წესში მითითებული „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება“ გადატანილ იქნას პროგრამის შემუშავების წესში;	პროგრამების შემუშავების, შეფასების და განვითრების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და დამტკიცდა ახალი რეგულაცია, რომელთან შესაბამისობაშია დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.	თებერვალი 2019	
15.	ამოღებულ იქნას მოდულებიდან სიტყვები „მინიმალური“ტექნიკური აღჭურვილობა და „უნდა ჰქონდეს“. ჩანაწერი შეიცვალოს შემდეგნაირად: „ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივი, რაც საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია საკუთრებაში/მფლობელობაში პროგრამის განხორციელების ძირითად ადგილზე“.	მოდულებიდან ჩანაწერები „მინიმალური“ტექნიკური აღჭურვილობა და „უნდა ჰქონდეს“. შეცვლილია შემდეგნაირად: „ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივი, რაც საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია საკუთრებაში/მფლობელობაში პროგრამის განხორციელების ძირითად ადგილზე“.	საგანმანათლებლო პროგრამების დანართები-მოდულები	შესრულებული
16.	სასურველია კატალოგი იქცეს ერთიან დოკუმენტად, სადაც სრულად იქნება თავმოყრილი ყველა სათანადო ინფორმაცია;	კატალოგში ასახულია ინფორმაცია დაწესებულების, პროგრამების შესახებ, მითითებულია ასევე ინფორმაცია პრაქტიკის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ. წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ მზადდება კატალოგი ახალი დიზაინით, სადაც უფრო მრავალფეროვანი ინფორმაცია იქნება წარმოდგენილი.	https://bsu.edu.ge/sub-54/page/3-461/index.html ბრძანება პროფესიულისაგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის დამტკიცების შესახებ 01-02/10 06 თებერვალი 2019	შესრულებული
17.	ვინაიდან, კატალოგი სარეკლამო ხასიათის დოკუმენტია, სასურველია დამატებით მოიცავდეს პარტნიორი ორგანიზაციების/პრაქტიკის ობიექტების ჩამონათვალს, ინფორმაციას სტუდენტების მიღების შესახებ, მოდულის/პრაქტიკის განმახორციელებელი პირების შესახებ, წარმატებული კურსდამთავრებულების შესახებ. ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებასთან			

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ბათუმი, 2019}

	დაკავშირებით და სხვა.			
18.	სასურველია, კატალოგში განთავსდეს ინფორმაცია დაწესებულების რეალური ცხოვრებიდან, მნიშვნელოვანი ფაქტების შესაბამისი ფოტომასალით;			
19.	სასურველია, განისაზღვროს კატალოგის განახლებაზე პასუხისმგებელი პირი;	კატალოგის განახლებაზე პასუხისმგებელი პირად ბრძანებით განისაზღვრა პროფესიული პროგრამის მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი [redacted]	ბრძანებაკატალოგის განახლებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ	შესრულებული
20.	სასურველია დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო საქმინობის მარეგულირებელ დოკუმენტებში გამოიყენოს სიტყვა „მოდულურის“ ნაცვლად, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ან შესაბამისი წესით განმარტოს ტერმინი“მოდულური“ და შემდეგ გამოიყენოს.	ცვლილებები განხორციელებულია		შესრულებული
21.	უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციაში დაზუსტდეს მუხლი 6 (უნივერსიტეტის სტუდენტის პირად საქმეთა წარმოება), სადაც მითითებულია, რომ სტუდენტის პირად საქმეში უნდა ინახებოდეს სრული ზოგადი განათლების და უმაღლესი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი. კავშირი „და“ უნდა შეიცვალოს „და/ან“, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩანაწერი გულისხმობს სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად სრული ზოგადი განათლების და უმაღლესი განათლების აუცილებლობას. ასევე, უნდა დაემატოს ჩამონათვალში საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, პროფესიული განათლების	უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციაში დაზუსტდა ჩანაწერი და სტუდენტის პირად საქმეში განსათავსებელ განათლების დამადასტურებელ დოკუმენტებთა ჩამონათვალში მითითებულია, საბაზო განათლების/ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი/პროფესიული განათლების დიპლომი ან უმაღლესი განათლების დიპლომი.	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბრძანება N 01-08/6 ქ. ბათუმი 16 თებერვალი, 2016 წ. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა	შესრულებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ბათუმი, 2019}

	დამადასტურებელი დოკუმენტი, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტის სტატუსის მოპოვების კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობები. ასევე, სასურველია გაიმიჯნოს მოთხოვნილი დოკუმენტაციის ნუსხა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტისათვის.		რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ	
22.	აუცილებელია ჩანაწერი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ, მოვიდეს თანხვედრაში დადგენილ რეგულაციებთან.	ჩანაწერი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ, თანხვედრაშია დადგენილ რეგულაციებთან.	ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. დამტკიცებული, რექტორის 2019 წლის 08 თებერვალს. N01-02/11 ბრძანება.	შესრულებული
23.	„ბსუ-პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის წესში“ გაიწეროს არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებული რეგულაციები და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესები.	ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებული რეგულაციები და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესები.	ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. დამტკიცებული, რექტორის 2019 წლის 08 თებერვალს. N01-02/11 ბრძანება.	შესრულებული
24.	გაიწეროს მიმდინარე საგანმანათლებლო პრგრამაში ცვლილებების განხორციელებისას პროფესიული სტუდენტის მიერ უკვე მიღწეული შედეგების აღიარების და სასწავლო გეგმის ცვლილების წესი.	საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელებისას პროფესიული სტუდენტის მიერ უკვე მიღწეული შედეგების	ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის	შესრულებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ბათუმი, 2019}

		აღიარების და სასწავლო გეგმის ცვლილების რეგულაციები გაწერილია ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში.	მარეგულირებელი წესი. დამტკიცებული, რექტორის 2019 წლის 08 თებერვალს. N01-02/11 ბრძანება; ბსუ-ს ფაკულტეტების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენიებებში ცვლილებების შეტანის შესახებ. დადგენილება N72. 20 ივლისი, 2018 წ.	
25.	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა უნდა ითვალისწინებდეს დაგეგმე- განახორციელე-შეამოწმე-განავითარე ციკლს;	ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმები, რაც ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასაც. შემუშავებულია კითხვარები: პროფესიული სტუდენტებისათვის - მოდულის სწავლების შეფასება; პროფესიული სტუდენტებისათვის პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება; პროფესიული განათლების მასწავლებლის თვითშეფასება; პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის - მოდულის	ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. დამტკიცებული, რექტორის 2019 წლის 08 თებერვალს. N01-02/11 ბრძანება	შესრულებული
27.	სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა ითვალისწინებდეს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას, (როგორიცაა პროფესიული სტუდენტი, პროფესიული მასწავლებელი, დამსაქმებელი, დაწესებულების ადმინისტრაცია და სხვა).			

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ბათუმი, 2019}

		შეფასება; კურსდამთავრებულების გამოკითხვა ; პროგრამის დაწერგვის კითხვარი - დამსაქმებლებისათვის. კითხვარების შევსების შემდეგ ხდება პასუხების ანალიზი, მიღებული შედეგების შესაბამისად იწერება შემდგომი რეკომენდაციები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა ითვალისწინებს დაგეგმე- განახორციელე- შეამოწმე-განავითარე ციკლს.		
2.მატერიალური რესურსი				
28.	სასურველია დროულად ხდებოდეს სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი სახარჯი მასალა/წედლეულის შესყიდვა და დაზუსტდეს მათი გაცემა/აღრიცხვის წესი, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეუფერხებელ განხორციელებას და შესაძლებელს გახდის პროცესის მონიტორინგს/სრულყოფას. ამ მიზნით ასევე უნდა გაიწეროს მასალებითა და წედლეულით სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის და წარმოშობილი ნარჩენების მენეჯმენტის რეგულაცია/პროცესი.	1. აღნიშნულ რეკომენდაციაში გასათვალისწინებელი პროცესები დარეგულირებულია, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-16. (სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და წედლეულის შენახვა და გამოყენება) მე-17 (სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი) და მე-18 (ტექნოლოგიური/სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია) მუხლებში. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის,	ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. დამტკიცებული, რექტორის 2019 წლის 08 თებერვალს. N01-02/11 ბრძანება.	შესრულებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბუბუნაია

{ბათუმი, 2019}

		პროგრამაში შემავალი მოდულების მასალებისა და ნედლეულის ნაწილის და პროგრამის სასწავლო გეგმის გათვალისწინებით, ცენტრი უზრუნველყოფს ბსუ-ს ადმინისტრაციისათვის მასალებისა და ნედლეულის მოთხოვნის წარდგენას შესაბამისი მოდულის დაწყებამდე არაუგვიანეს 3 თვისა.		
29.	სასურველია დაკორექტირდეს „ბსუ-ს ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მღების ინსტრუქციაში“ დადგენილი ისეთი მოთხოვნები, რომლებიც სცილდება ავტორიზაციის მოთხოვნებსა და უნივერსიტეტის რეალურ შესაძლებლობებს. მოხდეს დებულებაში რეალური საჭიროებებისა და ფუნქციების ასახვა.	„ბსუ-ს ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების ინსტრუქცია“ არ იყო შეცვლილი. თუმცა, ცენტრის დირექტორმა საუბრისას დაგვიდასტურა, რომ არის მზაობა ამ ინსტრუქციის შესაცვლელად.		არ არის შესრულებული
30.	ასევე „ბსუ-ს ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მღების ინსტრუქციის“ თანახმად განთავსდეს სამედიცინო სამსახურის საკონტაქტო ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.	სამედიცინო სამსახურის საკონტაქტო ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.	საიტის დათვალიერება https://www.bsu.edu.ge/sub-54/page/2-434/index.html	შესრულებული
31.	სასურველია, დეტალურად გაიწეროს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ჯგუფის ინსტრუქცია;	დაწესებულებას, პროფესიული განათლების მიმართულებით შემუშავებული აქვს გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის წესი, სადაც გაწერილია მონიტორინგის წესი, რომელიც ადგენს გეგმით დასახული მიზნის მისაღწევად და	პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებისა და შესრულებული	შესრულებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ბათუმი, 2019}

		სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ, ბსუ-ს მიერ დაგეგმილი აქტივობების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგის (შემდეგში ,,მონიტორინგი“) ღონისძიებებს.	მონიტორინგის წესი. დამტკიცებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14თებერვლის N06-01/15 დადგენილებით.	
32.	სასურველია, სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში მონაწილეობდნენ დაწესებულების პარტნიორები და სხვა დაინტერესებული მხარეები.	ცენტრის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების მიმართულებით შემუშავებული გრძელვარიანი (ექვსწლიანი) და განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგების შემუშავებაში, ჩართულნი იყვნენ პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები, პარტნიორი დაწესებულებები და კურსდამთავრებულები. აღნიშნული დასტურდება შეხვედრის დასწრების ხელმოწერილი ბლანკებით, და ამ საკითხთან დაკავშირებით, ახალ შენობაში გადასვლისთანავე იგეგმება განმეორებითი შეხედრები.	პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებისა და შესრულებული მონიტორინგის წესი. დამტკიცებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14თებერვლის N06-01/15 დადგენილებით. დასწრების ფურცლები	შესრულებული
33.	უზრუნველყოფილ იქნას ჩატარებული საქმიანობის, განხორციელებული პროექტების სათანადო ანალიზი.	2017-18 სასწავლო წლისთვის ჩატარებული გამოკითხვების ანალიზის დოკუმენტი შემუშავებულია, ხოლო მიმდინარე წლის მზადების პროცესშია.	შევსებული კითხვარები	შესრულებული
34.	სასურველია, სამოქმედო გეგმაში დაზუსტდეს თუ რა აქტივობებია გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიმართულებით, ან პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის გეგმა	დაწესებულებას, პროფესიული განათლების მიმართულებით შემუშავებული აქვს გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგები.	პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და	შესრულებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ბათუმი, 2019}

	ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ დოკუმენტად. რადგანაც დაწესებულების ერთ-ერთი პრიორიტეტია პროფესიული განათლება, რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშავოს პროფესიული განათლების ქვესტრატეგია, როგორც ერთიანი სტრატეგიის ნაწილი, ან პროფესიული განათლებასთან დაკავშირებული საკითხები ცალკე სტრატეგიულ მიზნად განიხილოს, რაც მას მისცემს საშუალებას უკეთ მოახდინოს კონცენტრირება პროფესიულ განათლებაში მიმდინარე დინამიურ პროცესებზე.		ერთწლიანი სამოქმედო გეგმებისა და შესრულებული მონიტორინგის წესი. დამტკიცებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14თებერვლის N06-01/15 დადგენილებით.	
3.ადამიანური რესურსი				
35.	სასურველია დაზუსტდეს ჩანაწერი უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციაში. კერძოდ, მუხლი 5 (უნივერსიტეტის პერსონალის პირად საქმეთა წარმოება) პირად საქმეში განსათავსებელ სავალდებულო დოკუმენტაციის ჩამონათვალში მოთხოვნილია განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი,რომელსაც ერთვის დაზუსტებული ჩამონათვალი, სადაც არაა მითითებული პროფესიული განათლების დიპლომი, რაც ზღუდავს პროფესიული განათლებით დასაქმების შესაძლებლობას.	დაწესებულების საქმისწარმოების ინსტრუქციის მე-5 მუხლში (უნივერსიტეტის პერსონალის პირად საქმეთა წარმოება), პერსონალის პირად საქმეში განსათავსებელ განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთა ჩამონათვალში, მითითებულია პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი.	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბრძანება N 01-08/6 ქ. ბათუმი 16 თებერვალი, 2016 წ. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ	შესრულებული
36	მოდულის განმახორციელებელ პირებთან დადებულ ხელშეკრულებებში დაკონკრეტდეს დასაქმებულის სტატუსი,	მოდულის განმახორციელებელ პირებთან დაიდო ახალი ხელშეკრულებები, სადაც	პროფესიულ მასწავლებლებთან დადებული	შესრულებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბუბუნაია

{ბათუმი, 2019}

	მოდულის დასახელება, სამუშაოს განხორციელების ადგილი, ყველა ხელშეკრულებაში განისაზღვროს მოქმედების ვადა, ან აღინიშნოს რომ ხელშეკრულება უვადოა.	დაკონკრეტებულია დასაქმებულის სტატუსი, მოდულის დასახელება, სამუშაოს განხორციელების ადგილი და მოქმედების ვადა.	შრომითი ხელშეკრულებები	

IV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

16 მარტი 2019

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: